

გ ა ჯ ე თ ი დ ი რ ს :			
თვე	საბ. კ.	თვე	მან. კ.
12.	10 —	6 . . .	6 —
11.	9 50	5 . . .	5 50
10.	8 75	4 . . .	4 75
9.	8 —	3 . . .	3 50
8.	7 25	2 . . .	2 75
7.	6 50	1 . . .	1 50

ივერია

რედაქცია გიორგიშვილის
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბამად
და განცხადებათა დასაბამად
უნდა მომართონ რედაქციის და წერა-კითხვ
ვაშვრტ. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეორეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

სუთშაბათს, 1 ნოემბერს, 1901 წ.

განმეზობი ბ. კ. შათირიშვილისა

ქართულის დრამატული საზოგადოების დანის მიერ
ერთ ვ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. ვიფიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები:

ავადმყოფი ხალხი

დრამ. 2 მოქმედებად, თხზ. გაუტემანისა, თარგ. ვ. გუნიასი.

ოქროს ევა

კომ. 3 მოქმედებად, თხზ. შანტენისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მისწრაფობას იღებენ: ქნნი ვაბუნი-ცაგარლისა ტასო აბაშიძე, კარ-
არეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი და სხვ. ბ-ნი: ვლ. მესხი-
შვილი, ყიფიანი, კუნია, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუ-
შაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხვ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. აბაშიძე
შემდეგი წარმოდგენა იქნება კვირას, 4 ნოემბერს.
(3-5-3)

პირველი კერძო სამკურნალო

ნაიზის ნავასარდიანისა

ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ვათამყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-
დღე, კვირა დღეებს გარდა.
დიღაოზით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.

სადისტაქრო, ვენერული (სიფილი-
ო) და საშარდეს ავადმყოფობანი.
მ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ.
სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და
ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანი. დილის 11
—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სე-
ნით ავადმყოფებს.
ბ. ი. გაქლიაშვილი. 12—1 საათ.

ფელეტონი

წერილი მე-32.

ემოდგობა და საზოგადოებრივ ცხოვრ-
ვის გამოღვივება.—ბავშვთა ამოწყვეტა და
საზოგადოების უკმაყოფილება.—ინგლისე-
ლ დრეიფუსი.—საქმის ვითარება ტრანსი-
სტალში.—შიში კაპის ახალშენის დაკარ-
გვისა.—ამერიკელების მიერ ინგლისის
დაპყრობა.
ათექმის მთელი თვეა ინგლისი
შენიერის და მზიანის შემოდგომი-
თა სტატება. მოხუცებს იშვიათად
სოფთ ასეთი სითბო ამ დროს,
შიანობა, ბუნების სიწყნარე. ყვე-
ლას მინდორი და ტყე იზიდავს,
ველას უნდა ქალაქიდან ვასვლა,
ანსაკუთრებით ამ უზარმაზარ,
უწყიან და ქვარტიან ლონდონ-
შიდგან, რომელიც ეს ორი კვირაა,
ათქმის თავის ქუჩითა და ქვარტ-
ლით შერცხვნილი, შუადღედე
სილ-ბურუსითაა შემოსილი. ვასა-
ვირველია სწორედ, რომ იმ დროს,
ოდესაც გარემოთა არე-მარეს
წყინვალე მზე დაჰყურებს, ნისლ-
ურუსში გახვეულია შუალამიდან
ულდემდე მხოლოდ ლონდონი.
ი. ველი, რომლის სიგანეც 25,
ოლო სიგრძეც 30 ვერსია. იმ დროს,
ოდესაც მახლობელს უბნებში—

კურისა, ყელისა, ცხვირის ავადმო-
ფობისა.
ბ. პ. კაპაბიანი. 1—1/2 ს.
შინაგანისა და ბავშვებისა.
ს ა ლ ა მ ო ზ ი თ :
გ. გ. როსტომიანი. 5—6 ს.
საქირურგო და კანისა.
ბ. ნ. შაქარვაძე. 6—7 ს.
ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), ში-
ნაგანი და ვენერულ ავადმო-
ფობათა.
ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და
ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.
ს. ბ. არაბიანი. 11—1 ს.
გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-
საჟს“, აუტრის ყვავილს და გამარ-
თავს საექიმო გემნასტიკას ექიმის
დანიშნებით.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს.,
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-
რის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფა-
სოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები-
სათვის—მორიგებით.
ღირექტორი სამკურნალო დოქტ-
ორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი .

Первая частная лечебница—А-ра
Навасардиана.
Тифлиси, противъ памят. Воронцову.
მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გელაშვილი
იღებს ავადმყოფებს დღით—
12—1, საღამოთი 6—7. ყორღა-
ნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტე-
ლეფ. 791. (5.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი
უფასოა).
მიხეილ გელაშვილი.
ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი
აგიაშვილისა, № 21 (ვორონცო-
ვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა დღეებს გარდა.
დიღით:
ბ. ი. შიშიანი.—კბილის სნეუ-
ლესანი, 8—10 საათ.
მიხეილ გელაშვილი.—ნე-
რვებისა და წამლობა ელექტრონით,
9—10 საათ.
ბ. გ. ფაღორავა. შინაგან და
ბავშვებისა. 9—10 ს.
ბ. გ. მაღალაშვილი.—შინა-
გან; სამშაბათობით და ხუთშაბათო-
ბით, 10—11 საათ.
ბ. ა. მულინი.—კურისა, ყელი-
სა და ცხვირისა—10—11 საათ.
ბ. პ. ახალაშვილი.—კბი-
ლის სნეულბანი. 10—12 საათ.
ბ. მ. შათილავა.—თვალის, 10
—11 საათ.
მიხეილ-ქალი ბ. ს. გაქრავა ბავ-
შვებისა—11—12 ს.
დ. ა. გელაშვილი.—ნერ-
ვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ახალი ამბავი

* 27 ოქტომბერს მოხდა კრე-
ბა მოსკოვის საარქეოლოგო სა-
ზოგადოების ტფილისის განყოფი-
ლებისა. წაკითხულ იქნა შემდეგი
მოსხენებანი: ერიცოვისა—„პირვე-
ლი გაცნობა სომხებისა და ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთის რუსეთისა“ და
თაყაიშვილისა—„საქართველოს ნა-
ჩემბერლენის თანხმობით მილენ-
რისა, რომერტისა და კიტინერის
მიერ გამართული.
წინადაც არა ერთხელ მქანია
მკითხველთან ლაპარაკი თავისუფ-
ლების მამაც დამცველთა დედა-
კაცებისა და ბავშვების საცოდავ
ბედის შესახებ. როდესაც ამ ერთის
წლის წინად ჯ. მარლიმ თამამად
მიშპართა მთავრობას და ბავშვების
ამოქრეცა დასწამა, მთავრობისა
და იმ კაპიტალისტ-მშარცველთა
დამცველთ, რომელთაც ომი გამო-
იწვიეს, შეუძლებლად ჩასთვალეს
ასეთი სამარცხვინო საქმე. მაგრამ,
აი დაბრუნდა ბრძოლის ველიდან
ახალგაზრდა და გამბედავი ქალი
Miss გობსონი და უტყუარის სა-
ბუთებით დაარწმუნა ყველანი, რომ
ბავშვებს უფლება ოცნების ნაყოფს
არ წარმოადგენდა. მაშინ იმავე დამ-
ცველებმა, განსაკუთრებით-კი როდ-
სისა, ჩემბერლენისა და სხვათა
მიერ მოსყიდულმა პრესამ, სხვა
რიგად გააბეს ქსელი და ბავშვების
ამოქრეცის ბრალი ფარეხებში მო-
მწყვედულ საცოდავ დედებს მოა-
ხვიეს კისრზედ: დედები არ უფლი-
ან და არა პატრონობენ ბავშვებ-
საო, გაიძახოდნენ ისინი.
უკმაყოფილება საზოგადოებაში
თან-და-თან იზრდებოდა; სამინისტ-
რომ მოისაზრა, უკეთესია თვით მე
გამოვაქვეყნო საქმის ნაღვილი ვი-
თარება, წინააღმდეგ შემთხვევაში

რია*-მეთქი, ვსთქვი: დღეს დიდი
ნაწილი იმისა, რასაც გუშინ სა-
ლიბერალო ბურჟუაზიას ეძახდნენ,
კონსერვატორად გადაიქცა.
ერთმა მეტად ჭკვიანმა და ღრმად
განათლებულმა ახალგაზრდა მწე-
რალმა და ელჩმა მითხრა დღეს, რომ
ორის წლის სხვაგან ყოფნის შემ-
დეგ ძალიან გამოაცხადებამ,
საზოგადოებრივ აზრ-შეხედულება-
ში მომხდარბაო. „ყველგან მარტო
და მხოლოდ კონსერვატორებსა
შხედება კაცი. ჩემი უნივერსიტეტის
ამხანაგები, ლიბერალები და რადი-
კალები-კი კონსერვატორებად გა-
დაიქცნენო.“ მართალია ახალგაზრ-
და ელჩი: რადიკალები, ფაბიანები,
სახელმწიფო სოციალისტები, ყვე-
ლანი კონსერვატორები არიან დღეს,
როდეს-ჩემბერლენ-კიტინერის დამ-
ცველნი და უფლება-ზოცვისა და გა-
ნადგურების მომხრენი...
საბედნიეროდ, ინგლისის ხალხსა
და განათლებულს საზოგადოებაში
ჯერ კიდევ მოიპოვება საკმაო რი-
ცხვი პატიოსან და მხნე კაცთა,
რომელნიც გულით სწუხან სამშო-
ბლოს სირცხვილის გამო, იმის ვა-
რამით იტანჯებიან და მზად არიან
ახალის ძალით გამოვიდნენ თავი-
სუფლების საერო ტრადიციების და-
საცველად. მგონი ნათელმა, მზიან-
მა შემოდგომამ გააცოცხლა პრო-
ვინცია; სიცოცხლე ლონდონსაც
ეტყობა.

ლონ მანეთისა. აქედან თითქმის... მის მილიონის მარტო კვერცხი... 25% ბურღული და... 23% ფრინველი და 3-10... მანეთისა ც გუანო.

ბას იღებდა ოც-და-ერთი სახელმწიფო. მათ შორის, როგორც გამოიღვეს, პირველი ადგილი ეჭირა, რუსეთს. ის, თუ რომელ სახელმწიფოს რა ფრინველულობა და რამ-

დენი გააქვს და შემოაქვს, სხანს შემდეგიდან: *)
*) იხ. „Международная торговля птицей и птичьими продуктами“. С. О. Гулишамбаровъ.

იმევე ქუთ. სამეურ. ფრ. მომშენებელ საზოგადოების ცნობებიდან სხანს, რომ მაზრებიდან (უმეტესად ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის) 1900 წელს გაუტანიათ და გაუყიდნიათ მარტო კვერცხი 1,200,000 მანეთისა.

დაკმაყოფილება. საქმე ისეა, რომ ჩვენი ქათმები პატარებია, ხორცი თუმცა-ღა გემრიელი აქვთ, მაგრამ ერთობ მაგარია და ძარღვიანი, მშრალი, კვერცხები პატარებია და გაუშვინდელი, რაიცა მათ ფასს ანახვევებს.

Table with 7 columns: Country, Eggs (3 types), Chickens (3 types). Rows include Georgia, England, Austria-Hungary, etc.

კვერცხები მიაქვთ, გარდა საქართველოს ქალაქებისა და შავის ზღვის ნავთ-სადგურებისა, საზღვარ გარეთ: ც-მარსელსა, პარიჟსა, ვენასა, ლონდონსა, ბერლინსა და კმბურგში. 1899 წელს თითქმის ორი მესამედი ჩვენგან გატანილ კვერცხისა გაიგზავნა პარიჟში. კვერცხის ვაჭრობის მხრივ ჩვენსა გასაკვირვებლად და სასიხარულოდ მარტო ქუთაისის გუბერნიას უჯობნია ზოგ სახელმწიფოსთვის, რაც მტკიცდება შემდეგიდან:

Table with 2 columns: Year, Quantity. Rows for 1900 and 1897 with various categories like 'Eggs', 'Chickens'.

და ზოგმა სხვამ კიდევ ნაკლები. ქუთაისის გუბერნია, როგორც ფრინველების მოსაშენებელი ერთი დიდი რაიონთაგანი რუსეთის იმპერიაში, შეუმსწვლად არ დარჩენია უცხო ქვეყნის ფრინველთა და კვერცხის მყიდველ დიდ ფირმებს: ისინი ეხლა აქვთ გვიგზავნიან თავიანთ აგენტებს და აქვე ყიდულობენ ჩვენგან კვერცხებს.

ჩვენის სამეურნეო ფრინველების მოვლა-მოშენებისა და ვაჭრობის მოსაწყობად აუცილებლად საქიროა მოშენებნა უცხოელ დიდის ჯიშის ქათმებისა, ადგილობრივის ჯიშის შერევა ისეთ ჯიშებთან, როგორც არიან, მაგალითად, მალაიის ჯიშში, დორკინგი, გუდანი (სახორცე ქათამი), პლიმუტ-როკი, ვიანდოტი, ლანგშანი (სახორცე და კვერცხის მდებელი), ისპანიისა, იტალიისა, შინორკა (კვერცხის მდებელი), გავრცელება იხვევის: პეკინისა, ვილსბერისა და რუანის ჯიშისა, ტულის და იაპონიის ბატებისა, „ბრონზის“ ინდურებისა. ამისათვის-კი საქიროა ხალხში გავავრცელოდ პრაქტიკული დარიგება ფრინველის მოვლა-მოშენებისა; დაეარსოთ ამხანაგობანი და საზოგადოებანი, რომ შეერთებულის ძალით, ცოდნითა და ფულით, ერთად შეეცადოთ ხელის შემშლელს გარემოებებსა, ჩარჩებს, და საქმე დაეკვიროთ პირდაპირ უცხოეთის ბაზრებთან. ამ საქმეში საყურადღებო სამსახურის გაწევა შეუძლიან ქუთაისის სამეურნეო ფრინველების მომშენებელს საზოგადოებას, რომელსაც მიწერ-მოწერა აქვს ზოგიერთა ფირმებთან და რუსეთში ცენტრალურ საზოგადოებასთან და რომელიც გულმხურვალედ ეკიდება ქუთაისის გუბერნიაში სამეურნეო ფრინველების მოშენების წესების გაუმჯობესებას.

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტს კვერცხსა ყიდულობს რუსეთის (41.282,000 მანეთისას), ხოლო ფრინველებს — გერმანია (16,649,000 მანეთისას). მეორე ადგილი შემოხსენებულ სახელმწიფოთა შორის კვერცხის ყიდვით უჭირავს გერმანიას (31,107,000 მანეთისას). ყველა სახელმწიფოზე მეტი კვერცხი გაჰქონდა და ეხლაც გააქვს რუსეთს — ოც ზე თითქმის ორი ათასს მანეთისა (25,951,000 მანეთის).

ინგლისში, ისე გერმანიასა და სხვა სახელმწიფოში. აი ამიტომაც არის, რომ ყველაგან კვერცხის მწარმოებელ ქვეყნებში ამ ბოლო ხანს უცხო ქვეყნებიდან მრავალთ-უმრავლესი აგენტები გაჩნდნენ და ყიდულობენ კვერცხებს. ამიტომაც მოჰქიდა სამეურნეო ფრინველების მოვლა-მოშენებას; ხელი ამერიკამ და სხვა სახელმწიფოებმა. საქმის ვრცლად მოწყობისათვის და დიდი ვაჭრობის განაღებისათვის გამოიგონეს კვერცხების გამოსაჩეკი მრავალნაირი მანქანა და ფრინველების მოშენებას მისცეს საფაბრიკო წარმოების ხასიათი. კვერცხების და ქათმების მრეწველობით ამ ეამად ატრიალებენ მილიონებს. ყველაგან უცხოეთში არსდება აუარებელი სკოლები, საზოგადოებები და ამხანაგობები, ფერმები; მრავალდებიან ინსტრუქტორები, თითქმის ყველაგან შემოიღეს ხელოვნური კრუხები, ხელოვნურად გამოჩეკილ წიწილების გამოსაზრდელი მანქანები; მანქანები, რომლებითაც ქათმებს ასუქებენ და სხვა. ყველა სახელმწიფო, ცალკე საზოგადოებები, პროვინციები სცდილობენ ერთმანეთს აჯობონ და ქვეყანას წარუდგინონ ნაყოფი თავის შრომისა და მეცადინეობისა...

Table with 2 columns: Year, Quantity. Rows for 1870, 1880, 1890, 1897.

როგორც ვხედავთ, დიდი სარგებლობა ჰქონია რუსეთს ფრინველების ვაჭრობისაგან. დღეს-დღეობით რუსეთში მოქმედებს რამდენიმე „სამეურნეო ფრინველების მომშენებელი საზოგადოება“. ექვს გარეშეა ისიც, რომ სულ მალე რუსეთი პირველ ადგილს დაიჭერს საქვეყნო ბაზარში ფრინველისა და კვერცხის ვაჭრობით, რადგანაც ამას ხელს უწყობს უმთავრესად მიწის სივრცე და საკუთარი ხორბლეულობა.

მოვილაპარაკოთ ეხლა იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს სამეურნეო ფრინველების მოშენებას კერძოდ ქუთაისის გუბერნიისთვის. თუმცა ფრინველების მოვლა-მოშენების საქმე ქუთაისის გუბერნიაში ჯერ კიდევ ცუდს მდგომარეობაშია, მაგრამ ჩვენის სოფლის ქალების მზრუნველობით, როგორც აღმოჩნდა, ქუთაისის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების გამოკვლევით, მთელს ქუთაისის გუბერნიაში გამოჰყავთ კვერცხებიდან წელიწადში საშუალო რიცხვით თითქმის 20,368,000 ქათამი, ბატი, იხვი და ინდაური.

ერთმა ამ აგენტთაგანმა ქუთაისის გუბერნიაში გამართა ორი კანტორა: ერთი სამტრედიაში და მეორე ბათოში, მაგრამ სამტრედიის კანტორამ მალე მოსორო არსებობა ჩვენის ჩარჩების მეოხებით და ამით მოაკლდა ჩვენს კუთხეს, უმთავრესად კი გლეხებს, რამდენიმე ათი ათასი მანეთი, რაიცა შეეძინა ჩარჩების ჯიბეს. ეხლა კი მესმის თქვენი სიღარიბე, მითხრა ერთმა ავსტრიელმა აგენტმა. თქვენს უმწიფო ეკონომიურს მდგომარეობაში კარგი ბედი მოეღის თქვენს ჩარჩებს, თუ თქვენ ამ წურბეულებს მოსპობთ, ევროპა დიდ ფულს დასატრავებს თქვენს სოფლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოუხერხებელია დიდი ვაჭრობის გამართვა თქვენს სიმატიურს ქვეყანაში.

ნ. მკურნალი

დაბატ სოფელი

ქიზიში. ხანგრძლივის წვიმების შემდეგ ქიზიყუდ ტყვის ფრად გადაფარებული ნისლის მანუა სამყაროს უძირო სიღრმე-სიგანეში შთაინთქა უცბად, ცას წვერ-მიბჯენილი ბუმბერაზ-მთები დაღისტნისა თოვლისაგან თეთრად გადაღლაღებულინი გამოჩნდნენ შორიდან, მზე სხივისანი დიდებულად ამოლაპლავდა დათოვრილის მთის მწვერვალადამ ლავარდოსან-კამკამა ცაზედ, აქლემების ქარვანივით დამწკრივდნენ ქიზიყის უზარმაზარი სოფლები დამ ალაზან-ივრისა და შირაქის თვალ-გადაუწვდენელ ველ-მინდვრებისაკენ ურმები, დატვირთული რკინის გუთნებით, ფარცხვით, ჯამბრებ-უღლებით, ჯერით (სურსათით), ბარგი-ბარხანითა და კიდევ გაისმა ქიზიყის მწვანე ხავერდის ტრიალს მინდორზედ გზათ-მიმავალ გუთნის-დღებობისა და მებრეების შეერთებული სიმღერა „მუშლი მუხასო“-ს ხმაზე:

— რო არ წავილოთო, ბიჭო, გუთნებო, დაიღუპებაო სომხის ღუქნებო. ვერ იგვარებნო ვერც ხელისნებო, დაგვიშვიდებო გოგო-ბიჭებო. რალასა ჰქამნო ღვედელ ღიაკვნებო,

თუმცა ავსტრო-უნგრეთს გააქვს 34,679,000 მანეთის კვერცხი, მაგრამ სამაგიეროდ შემოაქვს 10,537,000 მანეთისა, მაშასადამე წმინდათა გაქვს მხოლოდ 24,142,000 მანეთისა. რუსეთიდან გატანილ კვერცხს ჯერ კიდევ პირველი ადგილი უჭირავს ბაზარში ღირსებით; ამ მხრით ავსტრო-უნგრეთის კვერცხის ბაზარში თითქმის ტოლი არა ჰყავს. ინგლისი წარმოადგენს უდიდეს ბაზარს მთელს დედამიწაზედ, სადაც აღდება აუარებელი კვერცხი და თუმცა ყველა სახელმწიფო ეზიდება ინგლისში კვერცხს, მაგრამ ამითი ქაურს ბაზარზე კვერცხს ფასი არ აკლდება, რა ფასიც ამ 40 მილიონის წინად იყო კვერცხზე ლონდონში, ეხლაცა იგივეა. ეს იმიტომ, რომ თუ წინად ერთი ლონდონელი წელიწადში სჰამდა ექვს კვერცხს, ეხლა მიირთმევს ორმოც და ათასს. ორმოცი წლის წინად ინგლისი ყიდულობდა ერთ მილიონ სახეარ კვერცხს, ეხლა ყიდულობს ერთ მილიონს და ხუთი ათას მილიონს და კიდევ თან-და-თან ზრდება მოთხოვნილება როგორც

დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთსაც ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული სამეურნეო ფრინველის მრეწველობაზე, დღეს-კი სამეურნეო ფრინველების წყალობით რუსეთი იძენს ყოველ წელიწად ორმოც მილიონ მანეთამდე და ამასთანავე საოცარის სისწრაფით უმჯობესდება ფრინველის მოვლა-მოშენება და ვაჭრობა. მაგალითად,

თითქმის მესამედი გააქვთ გასასყიდად. აქაური ფრინველი იყიდება თფილისსა, ბათოშია, ფოთსა, ქუთაისსა, მაზრის ყველა ქალაქებში და ზღვის პირად ნავთსადგურებში.

